ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 159 (19601) ◆ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ... ᲘᲙᲘᲡᲠᲔ — ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ!

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓ-ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ დარიან დღეს მაქსიმალურად იყენებენ კასპელი საკვებმომკო

პარტიული ცხოვრება:

აქტიურობა მადლია კაცისა

ინსტრუქტორი ზონაში მიიჩქარის...

ARIS GARCHAMNIS SANIMUSHO MAGALITI

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჭ. ზუგდიდის „საქქალალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ოთარ ამბაკოს ძე ფაცაცია ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ამს. ჯ. ი. პატიაშვილმა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე საფასება მისცა გაერთიანებას, რომელსაც ოთარ ფაცაცია ხელმძღვანელობს.

კერძოდ, ითქვა, რომ სპეციალურ მითითებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო მუშაობის გარდაქმნა „საქქალალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებამ. დღეს ეს სანიმუშო საწარმოა, სადაც, პრაქტიკულად, განუწყვეტლივ ახლდება ტექნოლოგია და პროდუქციის ნომენკლატურა, წარმატებით სრულდება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი. და, რა თქმა უნდა, აქ უნდა აღინიშნოს გენერალური დირექტორის ამს. ო. ა. ფაცაციას — გამოცდილი, პროგრესულად მოაზროვნე სამეურნეო ხელმძღვანელის დიდი პირადი წვლილი.



ნარკვევი

თამამი ფაქტი თუ თამამი აზრი?

ზუგდიდის „საქქალალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების გამოცდილებიდან

სურათებზე: ოთარ ფაცაცია; ქალალდის საამქროში ახალი მანქანის პულტთან დგანან ოპერატორი ჯამშულ ქვარაცხელია (ცენტრში) და მეკალანდრეები აზა ვასრაგოვა (მარცხნივ) და ნაირა ჭკადუა; სახალხო კონტროლიორები (მარცხნიდან): ტექნოლოგი ტაურო ჭკადუა, ეკონომისტი თინა ცაგარელი, ფირთო მოხმარების საქონლის საამქროს პარტიული კომიტეტის მდივანი ციალა სახვიშვილი და მნორმავი ანდრო ფიფია.



„საქქალალდმრეწვის“ გენერალური დირექტორი განრისხებული დაბრუნდა. გამიზარა, ჩემი ერთი ხელქვეითი არც ისე კარგად მუშაობსო: — რაღაც სიმართლის მაძიებელს თამაშობს, ოღონდ თვითონაც არ იცის, რა სიმართლეს ეძებს. მომიტევეთ მოურიდებლობა, მაგრამ პირდაპირ ვუთხარი, რასაც ვფიქრობ — საქმეს ისე ეკიდება, როგორც ის ჯარისკაცი, რომელიც სამსახურს თავს არიდებს და სამზარეულოსაკენ ბრძანების თვალი.

ამბობენ, ცხოვრებაში კარგი კაციაო... მაგრამ კაიკაცობა არც პროფესიაა და არც თანამდებობა, ამისთვის ხელფასს ვინ მოგცემს?.. მე მგონია, საკითხი ასე უნდა დაისვას — შეგიძლია, გინდა მუშაობა? — იმუშავე, არა და, წადი, სხვას დაუთმე ადგილი. სხვაგვარად არ იქნება. არავითარი საქმის ჩაშლა, არავითარი შეცდომა არავისთვის არ ჩაივლის უკვალოდ.

შემდეგ ცოტა დაცხრა და დასძინა: შეჩვეული ვითარების მსხვრევა, კოლექტივში ფსიქოლოგიის შეცვლა, თითოეულისთვის საკუთარი თავის რწმენის ჩნერგვა, ალბათ, ყველაზე რთული ხელოვნებაა.

მას შემდეგ, რაც ვიცნობ, ამ სამი წლის განმავლობაში უკვე მეორედ შემხვდა სიტყვა „ხელოვნება“ სპეციალობით ეკონომისტის ოთარ ფაცაციას ლექსიკონში.

პირველად ეს ადგილობრივი პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებთან შეხვედრისას მოხდა. მაშინ ჰკითხეს, ადვილიაო დირექტორობა?

— ძნელია, — უპასუხა მან და დასძინა: — ადამიანების მართვის ხელოვნება ურთულესი და უმაღლესია ყველა ხელოვნებას შორის, ამბობდა პერიკლე, რომელიც ძველ ათენს მართავდა მისი უმაღლესი აყვავების ხანს. ამ სიტყვებს, რომლებიც ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ ითქვა, ჩემი ღრმა რწმენით, დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა...

და აი, ახლა ჩვენ კვლავ დავუბრუნდით ნაცნობ თემას.

— ზოგჯერ რომელიმე თანამშრომელზე მეტყვიან ხოლმე, ისეთი ბიორიტმი აქვს, მაგის გადაკეთება შეუძლებელიაო...

მე არასოდეს არ ვეთანხმები. ნებისმიერი ბიორიტმის დროს არის ხოლმე აქტიურობის პერიოდი, თუ, რა თქმა უნდა, საქმე გამოუსწორებელ ზარმაცს არ ეხება... სკეპტიკოსის წინაშე საქმე უნდა დაიცვა, ურწმუნო უნდა დაარწმუნო, აი ინერტული კაცი კი თავიდან უნდა მოიშორო. ამას ლაპარაკი არ უნდა — პრობლემა არ არის...

ოთარ ფაცაციასთან პირველი საუბრიდან; 1983 წ.

— აღზრდის საკითხებს პირველ ადგილზე ვაყენებ ყველაზე გადაუდებელ საქმეთა შორის. ვერავითარი განკარგულებანი, ვერავითარი დადგენილებანი, ვერავითარი გადაწყვეტილებანი ვერ დასძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან, თუ ადამიანებმა, ყოველ შემთხვევაში, მათმა უმრავლესობამ, თავიანთი საქმე არ აკეთეს, კეთილსინდისიერად არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობანი...

ჩვენს გაერთიანებაში ვაფასებთ ნოვატორული სულისკვეთების ადამიანებს, რომლებმაც იციან არა ლოდინი, არამედ მოქმედება...

ვიყოთ გულახდილნი: ინიციატივიან კაცს ხშირად მოსდის კონფლიქტები ინსტრუქციებთან, რომლებიც ახალ ამოცანებს ალარ შეესაბამება. ჩვენ ვცდილობთ რომ მაძიებელ კაცს მარცხი არ მოსდიოდეს.

და როცა ჩემი ცხოვრების გზაზე გადავეყრები კაცს, რომელიც არაფრად აგდებს იაფფასიან პრესტიჟს, შორიდანაც კი მინდა ხელი ჩამოვართვა ხოლმე.

ყოველ ახალგაზრდა მუშას, რომელიც ჩვენს კოლექტივში მოდის, ვარწმუნებ: „შრომა გართობა არ არის, შრომა პურია, სიობოა, ეერია, შენი ინტერესები და სურვილები დღევანდელი დღის მოთხოვნებს უნდა დაუქვემდებარო. უნდა აკეთო არა ის, რაც გინდა, არამედ ის, რაც საჭიროა. შრომას სწავლა სჭირდება!“.

ამ პირველი შეხვედრიდან სამი წლის მანძილზე არაერთხელ მინახავს ფაცაცია სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის — ექსტრემალურშიც, როცა ბეწვზე იკიდა რთული პრობლემების გადაწყვეტის საქმე. მაშინ გენერალური დირექტორი კიდევ უფრო მკაცრი ხდებოდა... ამ წუთებშიც, თითქოს, ისედაც დაჭიმული ზამბარა კიდევ უფრო იჭიმებოდა. იგრძნობოდა, როგორ რიტმულად მუშაობდა ტვინი, დაძაბულობა მატულობდა, მაგრამ არ იგრძნობოდა ერთი რამ — ნაჩქარევობა. ზუსტად მოქმედებდა, როგორც მეთაური ბრძოლის ველზე.

ფაცაცია ხალხს იძახებდა და სწორედ ის თანამშრომლები მოდიოდნენ, რომლებიც ამ წუთში სჭირდებოდა. ისინი დიდხანს არ რჩებოდნენ კაბინეტში, მოკლედ სთავაზობდნენ გადაწყვეტას, მითითებებს იღებდნენ და დაუყოვნებლივ მიდიოდნენ — ზოგი საამქროში, ზოგი სასწრაფო მივლინებაში...

ზუგდიდური ბლოკნოტიდან (სამშაბათი. 1984 წ. 14 ივნისი. 18.00. ხანმოკლე თათბირი გენერალურ დირექტორთან).

კიდევ დავუბრუნდებით ამ სტენოგრაფიულ ჩანაწერს, ახლა კი ყურადღება მიაქციეთ ზუსტ განკარგულებებს, სცადეთ ჩასწვდეთ მისი, როგორც დირექტორის ლოგიკას: შემჭიდროვებულ ვადებში შესრულდეს დავალება!

„...ზარქუა. დაუყოვნებლივ უნდა გაფრინდეთ დნეპროპეტროვსკში. ნახეთ აგრეგატი. თუ ვარგა, იყიდეთ. საკუთარი პასუხისმგებლობით. ოღონდ, თევზი წყალში არ იყიდოთ. იჩქარეთ, ოთხი დღის შემდეგ შაბათია. ორშაბათ დილით შედეგი მომახსენეთ“...

— მინისტრი თუ მუშა — საერთო წესრიგს ემორჩილებიან. წესრიგისა და პასუხისმგებლობის გარეშე ვერავითარი წინსვლა ვერ იქნება“.

ოთარ ფაცაცას სამმართველო კონცეფციას უკვე კარგად ვიცნობ. ხშირად იმეორებს ხოლმე: „ორი რამისთვის არ უნდა დაგენანოს დრო — მუშაობაში წესრიგისა და ადამიანებთან საუბრისათვის“.

ადამიანებზე ქვემოთ, ჯერჯერობით კი წესრიგს შევეხოთ.

იმ ოცი წლის მანძილზე, რაც ფაცაცია დირექტორობს, „საქქალალდმრეწვში“ (წინათ ზუგდიდის ენგურკომბინატი ეწოდებოდა) არ ყოფილა არიტმია, თითქმის არ ყოფილა რეკლამაციები, კადრების დენადობა ნორმაზე ნაკლებია, გაცდენები და დაგვიანება საგანგებო შემთხვევაა, ამ დროის მანძილზე კოლექტივში პრაქტიკულად არ ყოფილა სერიოზული კონფლიქტი.

როგორ მიაღწია ყოველივე ამას? ფაცაცია ამაზე, როგორც სჩვევია, მოკლედ გიპასუხებთ: საქმე თვითდინებაზე არა გვაქვს მიშვებული! და შემდეგ აუცილებლად დასძენს: ასე“ რომ, პრობლემები არ არის...

ო. ფაცაციასთან საუბრიდან: „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ლოზუნგი კი არა, მუშაობის პრინციპია. თუ მუშა გეგმას 140 პროცენტით ასრულებს, ეს მუშის დამსახურება კი არა, დაგეგმავის ხარვეზია. ახლა გადაქმნა მიმდინარეობს და ამ პროცესში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს რაც შეიძლება მალე განვთავისუფლდეთ ტუსუელებისგან, ხალტურისგან, იერიშობანასგან: ესენი ხარისხის მესაფლავენი არიან. წუნის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ნაკეთობაში უმკირესი ნაკლიც კი მარტო მორალურ ზიანს როდი გვაყენებს. დეფექტების აღმოფხვრას თან სდევს შრომის, მასალებისა და სამუშაო დროის დამატებითი ნახარჯები. მაშასადამე, მანკიერად შესრულებული სამუშაო, რომელიც გადაკეთებას . მოითხოვს, სხვა არა არის რა, თუ არა რესურსების ფლანგვა.

რატომ ხდება ეს?

ჩვენმა საკუთარმა ანალიზმა გვიჩვენა: მაგალითად, დეფექტების გამოვლენის ასი შემთხვევიდან ოთხმოცდაათი თვით შემსრულებელთა დოყლაპიობის წილად მოდის, ორი-სამი — კადრების დაბალი კვალიფიკაციის, ამდენივე — უხარისხო ნედლეულისა და ოთხი-ხუთი — გაფუჭებული თუ გაცვეთილი მოწყობილობის წილად.

როგორც სამეურნეო მუშაკი, მე ყოველნაირად მიგესალმები წუნისმკეთებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რომელიც დადგენილებით არის დამკვიდრებული. იქ წერია, რომ შემკვეთის მიერ ნაპოვნი დეფექტების გამოსწორების ხარჯები მიმწოდებლის მატერიალური ზარალისების ფონდის ხარჯზე უნდა ანაზღაურდეს.

ოდნავ გადავაკეთებ 30-იან წლებში ილფისა და პეტროვის ნათქვამს და ვიტყვი: წესრიგი ფუფუნება კი არა, მიზნის მიღწევის საშუალებაა. თანამედროვე წარმოების მართვას უნიკიერესი ხელმძღვანელიც კი ვერ შეძლებს, თუ თავისი მოქმედება არ დაუქვემდებარა რაღაც წესს, მკაცრ რეჟიმს. წესრიგი ჩვენ არ გამოგვიგონია. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ იგი გულმოდგინედ დანერგოთ და გაეუფრთხილდეთ“.

— ხე-ტყის ბირჟა, თოლორაია: რატომ იმალებით? თუ თქვენ დაგვაღმლატეთ, უკან დასახვევი გზა აღარ გვექნება.

— ამხანაგო! ეგ შეკითხვა დირექტორს არ ეხება, მიმართეთ ნაკუდიანს. იმსჯელეთ და მომახსენეთ.

და ამ მკვირცხლ დიალოგს მივყავართ დასკვნამდე: ვისაც მუშაობა სურს, საშუალებებს ეძებს, ვისაც არ სურს — მიზეზებს.

მეორე დღეს უკვე ვიცოდი დირექტორის ბრძანება, რომელშიც განსაზღვრული იყო, ვინ როგორ განახორციელოს თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებანი“.

მაშ ასე, რით იწყება წესრიგი?

ოთარ ფაცაცია დარწმუნებულია — ადამიანებით. ამის დასადასტურებლად იგი ხშირად სარგებლობს მეცნიერული მონოგრაფიების მონაცემებით: დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის მქონე საამქროებში შრომის ნაყოფიერება საშუალოზე 0,8-4,2 პროცენტით მეტია, უარყოფითი ფსიქოლოგიური კლიმატის საამქროებში — საშუალოზე 2,5-18 პროცენტით ნაკლები.

კადრების დენადობა, სადაც კარგი ფსიქოლოგიური ატმოსფეროა, საშუალოდ შეადგენს 8,1 პროცენტს, ხოლო უარყოფითი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ვითარებაში — 81 პროცენტს. სხვაობა — ათჯერადი!

— ერთი მიბრძანეთ — განა ეს უზარმაზარი რეზერვი არ არის?

— მეკითხება ფაცაცია და დასძენს: — ამ საკითხებს მარტო დირექტორი ვერ გადაწყვეტს. ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები შეხმატკბილებულად უნდა მოქმედებდნენ.

ო. ფაცაციასთან საუბრიდან: — „მოდით, ვალიაროთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიფასებია ღირსეულად მთავარი ცვლილება, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მოხდა უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე, — ცვლილება ადამიანებში. „აი, ვიტყვით ხოლმე: „თანამედროვე მუშა“. მაგრამ როგორია იგი? ეს უწინარეს ყოვლისა მოვალეობის კაცია, რომლისთვისაც სხვისი საქმე არ არსებობს. მცონარობა და გულგრილობა მცირეოდენთა ხვედრია. მუშების უმრავლესობა კი მოუსვენარი და აქტიურია. იცით, რა პრინციპებზე იზრდებოდნენ ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ტრისტან მესხია ან ქალალდსაკეთებელი მანქანის მუშა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი მზია ბიგვავა?

ავიღოთ, მაგალითად, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარე მარგო გერსამია. მისი ბასიათი ცარიელ ადგილს როდი ყალიბდებოდა. გაბედულნი, მოუსვენარნი, მაძიებელნი იყვნენ ომამდელი ხუთწლედების გმირები, რომლებიც კომბინატს აშენებდნენ, დღევანდელი კოლექტივის მორალურ სიძლიერეს ქმნიდნენ, — არქიფო თოლორაია, სიმონ ბზიკაძე, ალიოშა ესებუა, ვლადიმერ შონია, ეთერ ცქიტიშვილი, ნიკოლოზ ნადარაია, ბესო ჯანაშია“.

ჩავიწერე ეს სახელები ჩემს ბლოკნოტში და გავიფიქრე: „ღიან, სწორედ რომ დიდი აზრი აქვს ამ „საპატიო დაფას“, და, შეიძლება ითქვას, სწორედ ეს არის ოთარ ფაცაციას ერთ-ერთი მთავარი საყრდენი წერტილი. მაგრამ საკმარისი კია ეს დღეს?

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის შესახვედრად „საქქალალდმრეწვის“ კოლექტივი სერიოზულ ვალდებულებებს კისრულობს, უფიქრდება, თუ როგორ სჯობს შეჯიბრების მოწყობა, როგორ უნდა წარმართოს შრომელთა ენერგია.

— სრულიად აშკარაა, — ამბობს პროფკომის თავმჯდომარე დ. ვეკუა, — ახლა უკეთ უნდა ვიმუშაოთ, უმაღლესი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოვუშვათ, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად, არამედ რაციონალური საშუალებებით... დროება გვიკარნახებს — თუ ღონისძიებათა სისტემა არ შევიმუშავეთ, დღეს ახლებურად ვერ ვიმუშავებთ.

ახლებურად მუშაობა — რას ნიშნავს ეს?

როგორია დღეს გზა კონკრეტული ამოცანის დასმიდან კონკრეტული გადაწყვეტილებების შემუშავებამდე? რით გამოიხატება, ასე ვთქვათ, მართვის ინტენსიფიკაცია?

ამასწინათ კოლეგას ვკითხე, რა არის დამოკიდებული პირადად მასზე? მიპასუხა — თითქმის არაფერი. აი, გასაჭანი მომცენ, და მაშინ ვაჩვენებ, ვინა ვარ.

— და მართლაც. გაუთავებელი შემოწმებანი, კონტროლი, ზედამხედველობა, ყოველი მხრიდან ტელეფონის ზარი, პატაკანაი, ქაღალდების კუნტი, ერთის სიტყვით, საქმიანი უსაქმურობა — ყოველივე ეს გრძელდება. ერთი მიბრძანეთ, ასეთ პირობებში საწარმოს პირველ კაცს შეუძლია კიდევ სხვა რამ აკეთოს?

აი, სწორედ ასე ადგება ჩრდილი იმას, რასაც ვაკეთებთ. ზოგი კი გესლიანობს კიდეც: რის გადაკეთება, რის გარდაქმნა, როგორც იყო ისევე დარჩაო.

მაგრამ ვინ არ იცის ვ. ი. ლენინის ცნობილი აზრი: „მისსათვის, რომ გავიმარჯვოთ, და მით უმეტეს „პირისაგან მიწისა აღვგავოთ“ ბიუროკრატიზმი, ერთი ხელის მოქნევა არ კმარა, მაგრამ აქედან სრულიადაც არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ეს ბრძოლა საჩქარო არ იყოს“...

გენერალური დირექტორის პასუხი უაღრესად ზუსტი აღმოჩნდა: ინტენსიფიკაციას ჯერჯერობით კვლავ ხელს უშლის ბიუროკრატიზმი, ამიტომ დღეს ახლებურად მუშაობა ნიშნავს განვიმტკიცოთ საქმისადმი გონივრული, ყაირათიანი დამოკიდებულების შესაძლებლობისა და საჭიროების რწმენა. ზოგჯერ ხომ ერთი საფუძვლიანი საუბარი ასჯერ მეტს იძლევა, ვიდრე მრავალსაათიანი თათბირი.

გარდავიქმნათ — ნიშნავს არა „ვდუღდეთ“ და „ვიწეოდეთ“ სამუშაოზე, არამედ მოვავწყოთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა. წინათ თამამი ფაქტი უფრო ფასობდა, ვიდრე თამამი აზრი. დღეს ალარ კმარა შეცდომებისათვის ადმინისტრატორის კრიტიკა. დღეს მთავარია ვუპასუხოთ კითხვას: რატომ მოხდა ეს და სად არის იმის გარანტია, რომ ასეთი რამ ალარ განმეორდება. მაგრამ არც ეს კმარა. უფრო შორს უნდა წავიდეთ: მართვის სიმძიმის ცენტრი ადგილებზე უნდა გადავიტანოთ, რათა ბოლო მოვუღოთ ბიუროკრატიზმს, როგორც მოვლენას. დღეს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარი ჯურის ბიუროკრატებს. უნდა ვებრძოლოთ ხელმრუდე მუშებს, ინჟინრის არხეინობას, დირექტორის გადამეტებულ „ენერგიულობას“.

ერთი ესეც ვთქვათ, როგორი ხელმძღვანელი იყო პატივში სკკ XXVII ყრილობამდე?

ეი მისი პორტრეტის შტრიხები: შეუძლია მინიმალური დანაკლების „მოკვარცხვინება“. ეხერხება გეგმების კორექტირება შემცირების მიმართულებით. თავს არიდებს ახალი პროდუქციის გამოშვებას. სამაგიეროდ ფონდები, ლიმიტები, მასალები მისკენ მოედინება, რადგან, მისი დევიზია — „ისინიც, ვიზეც რამეა დამაკისრებული, ცოცხალი ადამიანები ვართ“. ერთი სიტყვით, შეტევაა, თავის გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებას აცამტვერებს, ვითომდა კეთილი საწარმოო მიზნებისათვის იღვწის.

მაგრამ მართლაც ასეთი კეთილმობილია?

თვალსაჩინო საბჭოთა იურისტმა აკადემიკოსმა ვ. კუდრიავცევმა ამს. წინათ პრესაში თქვა: „მე არ მჯერა იმ სამეურნეო მუშაკის უანგარობა, რომელიც დანაშაულს სჩადის „არა თავისთვის,“ არამედ საქმისათვის“.

პატიოსნად გეტყვით: ო. ფაცაცია მშობლიური საწარმოს კეთილდღეობას საფუძვლად უდებს საზრიან, გულისყურიან, ყოველდღიურ მუშაობას, მუშაკთა დაძაბულ შრომას, მთელი რესურსების სრულ გამოყენებას.

ო. ფაცაციასთან საუბრიდან: „მაღალი მიჯნები დაისახა ჩვენმა კოლექტივმა წელს. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ გეგმის გადამეტებით 600 ათასი მანეთის პროდუქცია გავასაღოთ. შევიღოთ 30 ათასი მანეთი დამატებითი მოგება. 4 პროცენტით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. წარმოების ნარჩენებიდან გამოვუშვათ 15 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

როგორ სრულდება ყველა ეს დიდი ვალდებულება?

პირველი კვარტალის შედეგებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და სსრ კავშირის ქალალდის მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ.

წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 200 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა პროდუქცია.

საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მუყაოსა და საფუარის საამქროების და თბილისის ქალალდის ფაბრიკის კოლექტივებმა.

მაგრამ გაანალიზა რა ახალი ხუთწლედის პირველი ნახევარი ზე კი, ჩვენ ვიგულისხმოვ, ჩვენივე მუშების შეკრებას ...ვიდეთ“.

ყრილობებისა და დღეებში, პარტიული დოკუმენტების განხილვის ქამს, ოთარ ფაცაცია „ცენტრალურ დარგობრივ გაზეთში „ლესნაია პრომეშლენაია“ [illegible] ანალიზი [illegible] „როგორ ვიპოვოთ ხელმძღვანელი“. სტატიაში [illegible] ...ბრძოლის ძირითადია პრინციპებსა და ფორმებმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გაბარა გამოცდა:

„დარწმუნებული ვარ, — დასკვნა გენერალურმა დირექტორმა, — რომ არჩევითობის პრინციპის დანერგვა თავიდან აგვაცილებს საკადრო მუშაობაში შეცდომებს“.

მოდით, ვისარგებლოთ ფაცაციას წინადადებით, მივყვეთ მაძინდელი, მრავალი წლის წინანდელ ტრადიციებს, როცა გარემომცველნი პირდაპირ, გულწრფელად და პრინციპიულად ლაპარაკობდნენ თავიანთ „წითელ მეთაურებზე“, და ვცადოთ ზუგდიდელი მექალალდეებისაგან — პირველი ხუთწლედების ვეტერანებისა და დღევანდელი შრომის მგრძნობიარეებისგან, ფაცაციას კოლეგებისა და ნაცნობებისაგან შეკითხვა, თუ როგორია იგი — დირექტორი? მიაღწევდა თუ არა ამ წოდებას? გაიმარჯვებდა თუ არა, ეს მაღალი თანამდებობა საკონკურსო სისტემით რომ ყოფილიყო შერჩეული?

და აი, გამოვიდა კიდეც „საქქალალდმრეწვის“ გენერალური დირექტორის სიტყვიერი პორტრეტი.

ზუგდიდური ბლოკნოტის ჩანაწერი:

— „პირდაპირ გეტყვით: ფაცაციას დიდ პატივს სცემენ რაიონში, და არა მარტო რაიონში. ყაირათიანი მეურნე, საქმიანი და გამრჯე კაცია.

— ღმერთმა არ ქნას, მაგასთან ერთად მიგლინებით წახვიდე მოსკოვში... გამარხულებს, ჩაიზე და ძეხვზე დაგსვამს...

— საყოველთაოდ ცნობილი გახდა მისი სიტყვები: „პრობლემები არ არის“. ეს სიტყვები, თითქოს თილისმააო, ყოველგვარ გზას უხსნიან, შეუფერხებლად მოქმედებენ!

— ფაცაციას მეთაურობით კომბინატი რამდენჯერმე გაიზარდა. ახლაც აშენებენ, ტექნიკურად აახლებენ, რეკონსტრუქციას უკეთებენ...

— მე მომწონს მისი დევიზი: არ გვეთანხმები — პირდაპირ თქვი, იტყვი — რაში შემოგვთავაზე, შემოგვთავაზე — დანერგე.

— საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრია, რაისაბჭოს დეპუტატია, მეცნიერებათა კანდიდატი, დელეგატად იყო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, ასე რომ, სულ მოუცლელია. გაცხოველებული ურთიერთობა აქვს ადამიანებთან და ორგანიზაციებთან.

— მე ძალზე ვაფასებ ჩემს დირექტორს. ცდილობს, წარმოება ისე ააწყოს, როგორც სახელმძღვანელოებია ხოლმე აღწერილი... მერე როგორ ცეკვავს... კლუბში ამშვენებს ხოლმე ჩვენს ზეიმებს.

— იცით, მინისტრად უპირებდნენ დანიშვნას. ამბობენ, უარი თქვაო. დედა ჰყავს ავად ზუგდიდში...

— ჩვენი დირექტორი სულ მოუცლელია, სულ რაღაცას აკეთებს. წამოჭრილ საკითხებს აქვე იხილავს და წყვეტს. სხდომობანა არ უყვარს, მაგრამ მკაცრი სტილის მომხრეა.

— კულტურული შვილებდ ჰყავს, სალამს ვერ დააწრეს, თავმდაბალი ცოლი ჰყავს, თავი არ მოაქვს, დირექტორის ცოლი ვარო...

— ფაცაცია ისები კაცია, სხვებსაც რომ აღაფრთოვანებს, გულისხმიერი და ამასთანავე მკაცრია. მას ყველა მხარში ამოუდგება ხოლმე — ჩვენი მუშაც, მოსკოველი კოლეგაც, თბილისელი მეგობრებიც.

— შესანიშნავი კაცია ოთარი. გარეგნულად — მომხიბლავი, იშვიათი ორგანიზატორი. აქ, კომბინატში გამოიზარა მუშური უნივერსიტეტი და მაღალ თანამდებობას მიაღწია...

— იცით, ყური მოვკარი, ფაცაციას თანამდებობის მიტოვება უნდოდა, ვიღაცა ანონიმურ წერილებს წერდაო ამისთანა კაცზე, თავდაუზოგავად რომ მუშაობს. მაშ მაგაზეც წერენ საჩივრებს? მე კი მეგონა თქვენ დირექტორი იდეალური ხელმძღვანელია-მეთქი, — ვუთხარი. გაერთიანების პარტკომის მდივანს თ. ჯიქიას, როცა მშრომელთა კოლექტივის დახასიათება მოვისმინეთ.

— სრულიადაც არ ნიშნავს, — მიპასუხა თეგზენ ჯიქიამ, — თითქოს, რაკი საჩივრებს არ წერენ, თქვენს წინაშე იდეალური ხელმძღვანელი იყოს.

საჩივრებს ჩკვიან და მომთხოვენ ხელმძღვანელებზე წერენ. წერენ, ჩვენ კი ვამოწმებთ. როცა ერთ ტომარა სიცოცხლეში ერთ ნამეცევ სიმართლეს ვიპოვით, ვფიქრობთ ხოლმე: როგორ მოვიქცეთ? საჩივარი ხომ „ნაწილობრივ დადასტურდა“. სწორედ ამით სარგებლობენ ანონიმისტები. ცოტა გადავაკეთებდი ბულატ ოკუჯავის სიტყვებს და ვიტყოდი: „წერეთ, წერეთ, ჩაგეთვლებათ“.

კონკრეტულად ფაცაციაზე რაღა ითქმის?

ავტორიტეტი ორდერით არ გაიცემა. პატივისცემას ნაცნობობით ვერ აშოვი. ერთიც და მეორეც სისხლით და ოფლით უნდა მოიპოვო.

და მაინც, შეხვედრისას გენერალურ დირექტორს ძალზე მოუკრძალებელი შეკითხვა მივიტანე: მეტისმეტად ხომ არ გიყვართ-მეთქი დირექტორის სავარძელი?

პასუხმა გამოიცა.

ო. ფაცაციასთან უკანასკნელი საუბრიდან, 1986 წ.

— ახალგაზრდა კოლეგებს ვარიგებ ხოლმე, ჭვრეტს შტაბში ყოველთვის შემოინახეთ-მეთქი ვაკახსია, რიგითი თანამდებობა, თქვენთვისვე. და გახსოვდეს, რომ ხვალ შეიძლება მაგ ადგილზე გადგეწესო. ჰოდა, დირექტორის სავარძლიდან კი არა, იმ ადგილიდან შეაფასეთ ყველაფერი, რასაც აკეთებთ...

და თავისი საყვარელი ფრაზა დაუმატა: „ასე რომ, პრობლემები **არ არის**“...

და ბოლოს, გენერალური დირექტორის პორტრეტის უკანასკნელი შტრიხი.

სსრ კავშირის ტყექალალდმრეწვის მინისტრი მ. ბუსიგინი:

— ფაცაციაზე აპირებთ წერას? მე ასე ვიტყოდი: მაგისთანა ხალხს ეყრდობა მთელი ჩვენი დარგი...

მიხეილ ფიჩხაძე.

ინსტრუქტორი ზონაში მიიჩქარის...

ასე მივიდა ჯ. ჩოჩია პარტიის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორობამდე.

პარტიის რაიკომის კომიტეტის ინსტრუქტორი... ათასი უხილავი ძაფებით არის იგი დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებთან, შრომით კოლექტივებთან, ცალკეულ ადამიანებთან, რომლებიც მისგან ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში რეალურ დახმარებას და საქმიან რჩევას მოელიან. დახმარება მეურვეობას როდი ნიშნავს. ეს კარგად ესმის ახალგაზრდა ინსტრუქტორს.

ჯ. ჩოჩიას საკურატორო ზონაში 30 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, სადაც 851 კომუნისტია გაერთიანებული. აქ ძირითადად სამრეწველო საწარმოებია, მათ შორის არის ხალიჩების კომბინატიც.

— ჩემი და მთლიანად პარტიის რაიონული კომიტეტის მთავარი სატკივარი ხალიჩების კომბინატი და მისი მომავალიაო, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ზონის ინსტრუქტორმა. გასული ხუთწლედის არც ერთ წელს წარმოებას არ შეუსრულებია პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება. ცხაკაიაში დამზადებული ხალიჩები კი სამოცდაათიან წლებში დეფიციტურ საქონლად ითვლებოდა და მოსწონდა მომხმარებელს.

მას შემდეგ არც ხარისხი გაუარესებია და არც ასორტიმენტი შეცვლილა. მაშ, რა მოხდა? ზონის ინსტრუქტორისა და კომბინატის კომუნისტების საერთო აზრით, წარმოების ბოგრესი ძირითადად პროდუქციის საკალო ფასების მკვეთრმა მომატებამ და ამ სახის დიდძალი საზღვარგარეთელი წარმოების საქონლის შემოზიდვამ გაანიერობა. ვერ გაუძლო კონკურენციას ცხაკაიელთა ნახელავმა.

მომდინარე წლის პირველ კვარტალში კომბინატმა გეგმასთან შედარებით 800 ათასი მანეთით ნაკლები ღირებულების პროდუქცია გამოუშვა. წარმოება დიდი რაოდენობით იღებს რეკლამაციებსაც.

მკვდარი კაპიტალივით აწყვია საწყობებში ასიათასობით მანეთის გაუსაღებელი ხალიჩები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება კომბინატის ისედაც შერყეულ ფინანსურ მდგომარეობას.

ზონის ინსტრუქტორისა და კომბინატის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს თაოსნობით წარმოებაში შექმნილი მდგომარეობა პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიუროს და სამეურნეოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებული სხდომის მსჯელობის საგანი გახდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ერეული პროგრამა შემუშავეს, რომლის პრაქტიკულმა განხორციელებამ ძირითადად უნდა უზრუნველყოს სასიკეთო შემობრუნება. ერთობლივი ღონისძიების ყოველ პუნქტს მკაცრი პარტიული კონტროლი დაუწესდა. შეიძლება ითქვას, უკანასკნელ პერიოდში აქ შესამჩნევია კომუნისტთა გააქტიურება, იზრდება პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა. წარმოებაში 7 საამქრო ორგანიზაცია და 11 პარტიული ჯგუფია, მუშაობს 215 კომუნისტი. ეს კი დიდი ძალაა.

რეკონსტრუქცია-გაფართოება კარგი საქმეა, მაგრამ ჯერჯერობით არსებული საროიტო სიმძლავრე არ არის ათვისებული. რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ კომბინატი დამატებით გამოუშვებს 800 ათას კვადრატულ მეტრ ხალიჩას. ეს მაშინ, როცა კვადრატული მეტრის საცალო ფასი 85 მანეთია.

— რად გვინდა საქონელი საწყობებში დავახვავოთ გაუსაღებლად? — ამბობს ჯულიეტა, — ამ საქმეში უფრო კომპეტენტური ჩარევაა საჭირო. ჩვენი აზრით, თუ ცალკეულად უნდა შეიცვალოს ასორტიმენტი და იგი თანამედროვეს გახდეს. გადასახედია აგრ

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხალხის შემოქმედებითი აქტიურობის გაზრდას. „პარტია, — აღნიშნულია აგრეთვე სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, — დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას უკავშირებს ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებას". პარტიის საკვანძო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების განსრულება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება ორგანულად არის დაკავშირებული ადამიანებთან, კადრებთან.

კადრების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაჭრობაში, რომლის მომსახურებითაც ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი სარგებლობს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობაში საშტატო თანამდებობათა სპეციალისტი კადრებით დაკომპლექტებისა და მათი გამოყენების სრულყოფის საკითხები სპეციალურად შეისწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა № 9 დარგობრივმა ლაბორატორიამ. სათანადო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ 1985 წლის პირველი იანვრისთვის რესპუბლიკის სახელმწიფო საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით შეადგენდა 52,4, ხოლო საბითუმო ვაჭრობისა — 58,2 პროცენტს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია სახელმწიფო ვაჭრობის ცალკეული საგაჭრო სისტემებისა და ორგანიზაციების მიხედვით. რესპუბლიკის ხილბოსტნეულის ვაჭრობაში იყო 25,8, აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — 45,6, რუსთავის ვაჭრობის სამმართველოში — 48,6 პროცენტი და ა. შ. საშტატო თანამდებობათა სპეციალისტებით დაკომპლექტების როლს სისტემაში მათი ხვედრითი წილი 45,1 პროცენტია. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა საშტატო თანამდებობაზე; მაგალითად, სავაჭრო ორგანიზაციათა განყოფილებების (სექტორების) უფროსებად მომუშავე არასპეციალისტების ხვედრითი წილი სახელმწიფო ვაჭრობაში 46,4, ხოლო ვაჭრობის სამინისტროში — 42,0 პროცენტია. სავაჭრო საწარმოების დირექტორების (გამგეების) და მათი მოადგილეების თანამდებობაზე შესაბამისად — 46,7 და 38,0 პროცენტი.

სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში კომერციული და ტექნოლოგიური პროცესების მაღალ დონეზე შესრულების მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტები ითვალისწინებს ვაჭრობის სპეციალისტთა კვალიფიკაციას განათლების დონის მიხედვით. საშტატო განრიგით გათვალისწინებული რიგი თანამდებობები (სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, ფუნქციურ განყოფილებათა უფროსები, ეკონომისტები) დაკავებული უნდა ჰქონდეთ მხოლოდ სათანადო უმაღლესი განათლების მუშაკებს. ფაქტობრივად ასეთ თანამდებობებზე არასპეციალისტებთან ერთად მუშაობენ საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რაც ყოველდ გაუმართლებელია. ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში მხოლოდ ვაჭრობის ეკონომისტის თანამდებობაზე მუშაობდა 196 არასპეციალისტი და 16 საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკი.

ვაჭრობის ეკონომისტებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საშტატო თანამდებობათა საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილი მცირეა. სახელმწიფო ვაჭრობაში იგი შეადგენს 4,8, ხოლო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში 4,9 პროცენტს. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მათი რაოდენობის თითქმის ნახევარი ეკავებოთ ჩვენი ხელმძღვანელი კადრების უფრო აქტიური მოძრაობის გზები. უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ პასუხსაგებ პოსტებზე ქალები და ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკები".

თანამედროვე ეტაპზე კადრებთან მუშაობის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილება და დამკვიდრება. ამ საქმეში ხშირად თავს იჩენს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელთა უგულებელყოფა ნოყიერ ნიადაგს უმზადებს კადრების დენადობას ვაჭრობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის იანვრის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია კადრების დენადობის შემცირებისათვის და სათანადო შედეგებსაც მიაღწია. 1979-1984 წლებში ვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა დენადობის საერთო მაჩვენებელი 5,8 პუნქტით შემცირდა და 1985 წლისათვის შეადგინა 12,8 პროცენტი. დენადობის მაჩვენებელი საკმაოდ დიდია მთავარ ბუღალტრთა შორის — 9,8 პროცენტი და შედარებით მცირეა სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს შორის — 2,9. მთავარი ბუღალტრების ხშირი შეცვლა იმით უნდა აიხსნას, რომ აქ ძალზე დაბალია სპეციალისტებით უზრუნველყოფის დონე. 1984 წლის მონაცემებით, ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მთავარი ბუღალტრის (უფროსი ბუღალტერი მთავარის უფლებებით) 149 საშტატო ადგილზე მხოლოდ 65 სპეციალისტი მუშაობდა. საერთოდ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში და მთლიანად სახელმწიფო ვაჭრობაში თანამდებობათა სპეციალისტებით დაკომპლექტების ყველაზე დაბალი დონე ბუღალტრებზე მოდის. ცხადია, არასათანადო განათლების მქონე მუშაკისთვის რთულია მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შესრულება და იძულებულია მიატოვოს საშუშაო პირადი სურვილით ან მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო. ერთი წლის მანძილზე (1983 წ.) ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში განთავისუფლებული 27 მთავარი ბუღალტრიდან 17 კაცი საკუთარი სურვილით წავიდა, ხოლო 5 — მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო.

კადრების დენადობის მიზეზთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვაჭრობის წესებისა და შრომის დისციპლინის დარღვევებს. ეს მოვლენა ნიშანდობლივია სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების კატეგორიაში. საგანგაშოდ მიგვაჩნია რევიზორების დათხოვნა აღნიშნული მოტივით. ვფიქრობთ, რომ რევიზორების თანამდებობაზე კადრების შერჩევისას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული მათგანის მორალურ-ზნეობრივ თვისებებს, — თუ გვინდა, რომ ამ კატეგორიის მუშაკთა შრომამ ხელი შეუწყოს სხვა კატეგორიის მუშაკთა დენადობის შემცირებას და საერთოდ დარგის საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლებას.

კადრების დენადობის მიზეზთა შორის არ შეიძლება გვერდი აუაროთ მუშაკის სპეციალურ განათლებას. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დენადობა დიდია იმ საშტატო თანამდებობებზე, სადაც დაბალია სპეციალისტებით უზრუნველყოფის დონე. აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ ნათელი ხდება მოთხოვნა, რომ ვაჭრობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე და სპეციალისტებად უნდა მუშაობდნენ მხოლოდ დიპლომირებული სპეციალისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარების მოთხოვნები კიდევ უფრო გაზრდის ნომენკლატურული თანამდებობიდან კადრების დათხოვნის მაჩვენებელს.

ბოლოს, ჩვენი აზრით, ვაჭრობაში რომ მუშაობს არასპეციალისტი მუშაკი და დაბალია საშტატო თანამდებობათა დაკომპლექტების დონე, ამის მიზეზი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების, განაწილებისა და გამოყენების დაგეგმვის პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზებია.

საგანგებო წერილი ძნელია ყველა იმ ნაკლის აღნიშვნა, რომლებიც ახასიათებს სპეციალისტთა კადრების დაგეგმვას და გამოყენებას რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის მართვისა და დაგეგმვის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიერ დამუშავებულ თემაში ფართოდ არის მოცემული წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

მ. ღაღანიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ვაჭრობის მართვისა და დაგეგმვის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე;
ე. ბოლოკაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, განყოფილების უფროსი;
მ. ზედგინიძე,
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ვაჭრობა

სპეციალისტი თავის ადგილზე უნდა მუშაობდეს

ვაჭრობის კადრებს მუდმივი ყურადღება სჭირდება

ისეთ პირობებში რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში 573 სპეციალისტი არადანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული, ე. ი. ისინი ასრულებდნენ ისეთ სამუშაოს, რომელიც არ არის გათვალისწინებული ნორმატიული დოკუმენტებით. სამაგიეროდ სპეციალისტ კადრების სამუშაო ადგილები ვაჭრობაში უკავიათ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სპეციალისტებს, აგრეთვე საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე პირებს. არასპეციალისტების რიცხვმა სახელმწიფო ვაჭრობაში 5500 შეადგინა. ეს მოწმობს რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობაში ირღვეოდა საკადრო პოლიტიკა.

კადრებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის საურველი მდგომარეობა. ცალკეულ საშტატო თანამდებობებზე დიდი რაოდენობით არიან მუშაკები, რომლებიც განათლების მიხედვით არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს. მათი რიცხვი 3343-ს აღწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამდენივე სპეციალისტი აკლია სამინისტროს სისტემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაჭრობის სამინისტროს მიერ საშტატო თანამდებობათა სპეციალისტებით უზრუნველყოფისათვის ვაჭრობაში სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების 525 საშტატო ერთეულზე ნახევარზე მეტი — 277 მუშაკი არასპეციალისტია. ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ასეთ პირებს ეკავ ... ოთხ ... ეს ... ...

უკრაინული დრამატურგიის თვალმარგალიტი

კიევის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები თბილისში

ივანე ფრანკოს, რომლის სახელობისაა კიევის აკადემიური დრამატული თეატრი, განსაკუთრებული ადგილი უკავია უკრაინის კულტურის ისტორიაში. მგზნებარე პატრიოტი, დიდი სახოგადო მოღვაწე, მოაზროვნე და დრამატურგი სათავეში უდგა დასავლეთ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აქტიურად თანამშრომლობდა უკრაინულ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც დასავლეთ უკრაინაში (იგი მაშინ ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში იყო) გამოდიოდა.

ივანე ფრანკო თავის ცნობილ წერილებში თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე ახალი პრობლემატიკისთვის, ახალი ფორმებისთვის იბრძოდა, უარყოფდა ადრინდელ ყოფითს თეატრს, რომელშიც დიდი ადგილი ეკავა ეთნოგრაფიულობას. დიდი მწერალი მარტო თეორიულად როდი მსჯელობდა, მან რამდენიმე ეტრმად სოციალური, მამხილებელი პიესაც დაწერა, რომელთა შორისაა უკრაინული დრამატურგიის თვალმარგალიტი — „მოპარული ბედნიერება“.

ი. ფრანკოს ხსენებული დრამა ხალხურ გადმოცემას ეყრდნობა. მწერალმა თავის პიესას საფუძვლად დაუდო უკრაინაში გავრცელებული „სიმღერა ქანდარმის შესახებ“. „მოპარული ბედნიერება“ ნოვატორული იყო როგორც შინაარსით, ასევე ფორმით. სამი ადამიანის თითქოსდა კამერულ ამბავზე ივანე ფრანკომ ააგო დაჩაგრული და დამცირებული უკრაინელი ხალხის ჭეშმარიტი დრამა.

„მოპარული ბედნიერება“ ი. ფრანკოს სახელობის თეატრის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა. პიესა, რომელიც რევოლუციამდე დეკნილი იყო, 1940 წელს დადგა უკრაინელმა რეჟისორმა და მოღვაწემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გნატ პეტრეს ძე იურამ. სპექტაკლში თამამობდნენ საბჭოთა თეატრის გამოჩენილი მსახიობები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ამბროსი ბუჩმა, ნატალია უფვი, ვიქტორ დობროვოლსკი... გ. იურას დადგმამ საერთო აღიარება მოიპოვა. გადოდა წლები, სპექტაკლში შეიყვანეს ახალი შემსრულებლები, შემდეგ პიესის ახლებურად წაკითხვის დროც დადგა და ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია უკრაინის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სერგეი დანჩენკოს დადგმა, რომელიც მიმდინარე გასტროლებზე ვიხილეთ.

ს. დანჩენკო ჩვენი დროის შემოქმედთა იმ წრეს ეკუთვნის, რომლებიც დიდ პატივს სცემენ ლიტერატურულ მასალას, პატივისცემით ეკიდებიან კლასიკას. მცირედი კუპიურების გარდა, მას არ დაურღვევია პიესის მხატვრული ქსოვილი და შექმნა სპექტაკლი, რომელიც ნოვატორულია არა გარეგნული ფორმების ძებნით, არამედ კლასიკის თანამედროვე, სიღრმისეული აღქმით.

სპექტაკლის მთელი მიზანსცენირება შინაგან დატვირთვაშია აგებული, ყოველი მოძრაობა მსახიობებისა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მასობრივი სცენებიც კი (დღესასწაული სოფელში) ჩვენ წინ ცალთამაშებული ადამიანური ტრაგედიის ფონია; ცეკვა-სიმღერაც (კომპოზიტორი — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. იანოვსკი, ბალეტმაისტერი—ა. ნავროცკი) კი სევდიანია. „მოპარული ბედნიერება“ მოგვითხრობს არა მარტო უკრაინელი გლეხობის წარსულ სიღატაკესა და უუფლებობაზე, მის ჭირგამძლეობასა და სიმტკიცეზე, ეს ამავე დროს ღრმად სერიოზული მსჯელობაა სიყვარულისა და სიძულვილის მარადიულ პრობლემებზე.

ხარბმა ძმებმა მზოვნის მითვისების მიზნით მოტყუებით მიათხოვეს თავისი და ანა სოფლის ყველაზე ბეჩავ კაცს მიკოლა ზადაროჟნის, მაგრამ მკვდრად გამოცსადებული ანას საქმრო მიბიალო ჟინდარმად მოევლინება სოფელს და ინასკვება სიუჟეტის დაძაბული მომენტები. ს. დანჩენკომ მთელი ყურადღება გადაიტანა სიღრმისეულ შრეებზე, წინ წამოსწია გმირთა ურთიერთობის ფარული მოტივები. რეჟისორი დიდ ადგილს უთმობს პაუზას, ქვეტექსტის ახლებურ გააზრებას, მსახიობთა თამაშის ლაკონიზმს, შინაგან სიმართლესა და განცდას...

წარმოდეგნაში წინა პლანზე წამოიწია სიყვარულის თემამ, მაგრამ ეს, ა. ჩეხოვის სიტყვით რომ ვთქვათ, „ხუთი ფუთი სიყვარული“ როდია, ეს არ არის ტრივიალური სასიყვარულო „სამკუთხედის“ ისტორია... აქ ლაპარაკია სიყვარულის მაღალ ადამიანურ ეთიკაზე — სიყვარული ხომ მრავალნაირია. კიეველთა სპექტაკლშიც სხვადასხვაგვარია იგი და ამას შესანიშნავად გადმოსცემენ მსახიობები.

დიდი ქების ღირსია, უკრაინის სსრ სახალხო არტისტის ბ. სტუპკას თამაში მიკოლა ზადაროჟნის როლში. თითქოსდა ა. ბუჩმას შემდეგ აღარაფერი შეიძლებოდა თქმულიყო, მაგრამ ბ. სტუპკამ თავისებური, სრულიად განსხვავებული მიკოლა წარმოგვიდგინა. მსახიობის თამაში მეტყველ პაუზებზეა აგებული, ხშირად სიტყვაზე მეტს მისი გამოხედვა და ინტონაცია გადმოგცემს, თავისებურია მისი გმირის მეტყველებაც— ბორძიკით რომ ლაპარაკობს. მას თითქოს ეშინია სიტყვისა, თავის ფიქრებს და გრძნობებს ჩქმალავს, და როცა ტანჯვა აუტანელი ხდება, წუთით ამოიკვლებს ტკივილი. მერე ისევ დუმილი, მოთმინება და მოთმინება... ო, რა ძნელია სულიერი ტანჯვის თმენა ადამიანისათვის! მიკოლას საკუთარ თავზე მეტად უყვარს ცოლი; ბ. სტუპკა — მიკოლა თითქოს ჰაერსაც კი ეალერსება საყვარელი ქალის ირგვლივ, რიდით უმზერს, შიშობს, შეხედვითაც კი არ შეურაცხყოს, მან იცის, რომ ანას არ უყვარს და თითქოს ამაში თავს იდანაშაულებს. სტუპკას გმირი ჩზირად წაივლებს ხოლმე თავზე ხელებს, გაკვირვებით იმზირება, თითქოს კითხულობს, რატომ დაუშვა ღმერთმა ამდენი უსამართლობა, მისთვის, ბნელი, უსწავლელი გლეხისათვის, ერთადერთი მფარველი ღმერთია და მას ევედრები იხსნას უსამართლობისაგან. როცა მიკოლა პატიმრობიდან ბრუნდება, მსახიობი უსიტყვოდაც შთამბეჭდავად გადმოგცემს; რა ტანჯვა გადაუტანია მის გმირს, — მას კულისებიდან მოჰყვება ეს განსაცდელი, გმირის მძიმე ბიოგრაფია. მიკოლას სცენენია თავისი წარსულისა, მსახიობი სცენაზე თითქოს პატარავდება, მხოლოდ სამთვალეში მეზობლებისგან წაქეზებული გაიმარჯვება წელში, ზმამოღლა აცხადებს თავის უფლებას სიყვარულზე, ბედნიერებაზე, აფექტის დროს კი კლავს თავის მეტოქეს, მაგრამ ჩადენილი დანაშაულით შეძრწუნებული უეცრად გამოფიზიწლდება და ისე გაქვავდება, თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ გაჩნია. რა განცდით ატარებს მსახიობი ერთ-ერთ სცენას ანასთან — იგი გვერდულად უახლოვდება ქალს (მიკოლას მოძაობა მუდამ მორიდებულია, თითქოს უნდა, შეუმჩნეველი იყოს), გამოუთქმელი ტანჯვითა და მოლოდინით ეკითხება (თუმცა უკვე იცის პასუხი) — „და არც არასოდეს გიყვარდი? არასოდეს, ოდნავ მაინც?!“ ანას უარზე იგი უკან იხევს, მოეშვება და თავში წაივლებს ხელებს.. ბ. სტუპკას მიკოლა ალალი გლეხია, მისთვის დამახასიათებელი უხეშობით და მოუქნელობით, ამავ დროს სულიერად ფაქიზია თავის დიდ სიყვარულში, რომლისთვისაც მზად არის ყველაფერი გასწიროს. მსახიობი ამ როლში წარმოგვიდგა არა მარტო როგორც ოსტატი, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც საკუთარი სულის სიღრმიდან იკრებს ძალებს, რათა გმირი გააცოცხლოს სცენაზე.

ხელისუფლების წარმომადგენელი, ჟანდარმი მიხაილო გურმანიც (უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ს. ოლექსენკო) თავის სიმართლეს, წართმეულ სიყვარულს იცავს, სოფლის ოდესღაც ლაღი, ფიცხი ჰაბუკი, მკაცრი და შეუბრალებელი კანონის ცოცხალ განსახიერებად იქცა, მსახიობი მშვენივრად ხსნის თავისი გმირის მოქმედების ფარულ აზრს — მას არ სჯერა, რომ მიკოლამ მოკლა და გაძაცვა გზისპირა დუქნის პატრონები, მაგრამ ამატებრებს, როგორც მეტოქეს, რომელმაც ანა წაართვა. მსახიობი გვაგრძნობინებს თავისი გმირის სულიერ ჰიდიოს, მას ეცოდება მიკოლა, სძულს უსამართლობა, მაგრამ საკუთარ სიყვარულს ვერ თმობს და თავს იმით იმართლებს, რომ სწორედ მას მოპარეს ბედნიერება, რომ ანა მისი საკოცე იყო და ქალი მას უნდა ეკუთვნოდეს. მიხაილოს ანა უყვარს, უყვარს მთელი ვნებით, თუმცა მისი სიყვარული მესაკუთრეობა, მოკლებულია იმ წმინდა, ნათელ თავგანწირვას, რომელიც მიკოლას გრძნობას ამაღლებს.

ფინალურ სცენებში ს. ოლექსენკოს მიხაილოს ეტყობა შინაგანი ბზარი, სასიკვდილოდ დაჭრილი, იგი შვებას პოულობს სიკვდილში, რადგან მიხვდა, რომ სხვის უბედურებას თავის ბედნიერებას ვერ ააგებდა... სიკვდილის წინ წარმოთქმული ფრაზით „მე თვითონ მოვიკალი თავი“, თითქოს სურს გამოისყიდოს დანაშაული მიკოლას წინაშე...

უკრაინის სსრ სახალხო არტისტი მ. გერასიმენკოც ძალზე უშუალო და თავისებურია. მსახიობი ხაზს უსვამს ცხოვრების მიერ გატანჯული ანას ხასიათის პასიურობას, პიესაში მას მცირე ტექსტი აქვს, მაგრამ არა სიტყვით, არამედ სცენური სიჩუმეებით გამოხატავს მსახიობი თავისი გმირის შინაგან ცხოვრებას.

სიყვარულისა და ადამიანური ღირსების საკითხები ყოველ დროში აქტუალურია, ყოველი დროის ადამიანს სჭირდება ეს უდიდესი განძი, რომლის წართმევა და მოპარვაც თვით ბუნებაზე, სიცოცხლეზე ძალადობის ნიშნავს.

ამის შესახებ მოგვითხრობს ი. ფრანკოს პიესა, რომელიც ყოველი ხალხისათვის, ყოველი თაობისათვის ახლობელი და ძვირფასია. ამიტომ მოახდინა ესოდენ დიდი შთაბეჭდილება კიეველთა მიერ წარმოდგენილმა დრამამ.

ნადია ᲨᲐᲚᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



სურათზე: ბ. სტუპკა მიკოლა ზადროჟნის როლში (დგას) სპექტაკლიდან „მოპარული ბედნიერება“.

Ჯ. ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ფოტო.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲜᲕᲔᲕᲡ...“

რამდენიმე დღეს თბილისში იმყოფებოდა ბასკ კინემატოგრაფისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა დამოუკიდებელი ბასკი პროდიუსერების ასოციაციის პრეზიდენტი ხოსე მიგელ სალასარი. სტუმრები გაეცნენ სტუდია „ქართული ფილმის“ მუშაობას, ნახეს რესპუბლიკის ეკრანის ოსტატთა მხატვრული, დოკუმენტური, სატელევიზიო და მულტიპლიკაციური ფილმები, იყვნენ „დონ კიხოტის“ — საქართველო-ესპანეთ-საფრანგეთის ერთობლივი მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმის გადასაღები მოედნის პავილიონებში. ბასკური და ქართული ენების ანალოგიის მკვლევარ ქართველ ბასკოლოგებთან შეხვედრის დროს სტუმრები გაეცნენ პრობლემისა და მეცნიერული კვლევის არსს.

ბასკი კინემატოგრაფისტები ეწვივნენ საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიას „მამატიანეს“. მათ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ბასკონიის ნაკრები საქართველოში“, რომელიც 1936 წელს არის გადაღებული. ნახევარი საუკუნის წინანდელმა კადრებმა აღიარეს რესპუბლიკის დედაქალაქში ბასკ ფეხბურთელთა ჩამოსვლა და ფეხბურთის მატჩი საქართველოსა და ბასკონიის გუნდებს შორის. თბილისის კინოს სახლში კი აჩვენეს სტუმრების ნამუშევრები — პოლიტიკური დეტექტივის ჟანრის მხატვრული ფილმი „ბისკაის ყურე“ და მულტფილმი „ჯადოსნური გოგრა“ — ბასკური ფოლკლორის მოტივების მიხედვით.

— შეხვედრა საქართველოსთან, მის კინემატოგრაფთან დაუვიწყარია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ხოსე მიგელ სალასარმა. — ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ ელდარ შენგელაიას, თეიგიზ აბულაძის, მერაბ კოკოჩაშვილის, მრავალ სხვათა ფილმებით, რომელთა ნამუშევრების ნახვის ბედნიერება გვხვდა წილად. ვემშვიდობებით ჩვენს ახალ მეგობრებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, მცირე ხნით. მომავალ წელს სან-სებასტიანში ვაპირებთ მოვაწყოთ ქართული კინოს კვირეული. (საქინფორმი).

წყალი — მკურნალი

ᲩᲮᲘᲑᲣᲚᲘ (საკ. კორ.). გოგირდოვანი წყალი, რომელიც სოფელ კურსების ცენტრში, მდინარე წყალწითელას მარცხენა ნაპირზე ამოჩუხჩუხებს, ძველთაგანვე იპყრობდა ყურადღებას. ნახევარი საუკუნის წინათ აქ სამკურნალო აბანო ააგეს და აბაზანებიც მოაწყვეს. აქედან მოყოლებული, იგი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს როგორც ადგილობრივ, ისე მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ რევმატიზმით დაავადებულთ.

შარშან ამ საკოლმეურნეო კურორტზე 2 ათასამდე კაცმა იმკურნალა და წელსაც ბლომადაა დამსვენებელი. აბანო შეღებილია ფასებში, ურიგოდ ემსახურება სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებს, კოლმეურნე პენსიონერებს. გოგირდოვანი აბაზანებით მრავალი ავადყოფი განიკურნა.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲝᲓᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲖᲘᲐᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ სპორტული ჟურნალისტები ასე არასდროს გაუხმაურებიათ. აქ დღე არ გადის ისე, რომ ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრესკონფერენციებზე გამოჩენილ სპორტსმენებთან, სპორტის ცნობილ მოღვაწეებთან, თუ ასპირანტობათა ორგანიზატორებთან რამე საინტერესო შეხვედრა არ მოეწყოს. დღეისათვის პრესცენტრში უკვე აკრედიტებულია 931 უცხოელი და საბჭოთა სპორტული ჟურნალისტი. ყველი მათგანის ინტერესების სფერო ხომ ერთობ ფართო და მრავალმხრივია. და აი, კიდევ ერთი დასამახსოვრებელი შეხვედრა: პრესკონფერენციაზე ვიხილეთ „სოიუზ“-„აპოლონის“ ერთობლივი კოსმოსური ფრენის მონაწილეები — ამერიკელი ეკიპაჟის მეთაური ტომას სტაფორდი და საბჭოთა ეკიპაჟის მეთაური ა. ლეონოვი, აგრეთვე ამ ისტორიულ კოსმოსურ ეპოპეაში მისი მეწყვილე ვ. კუბასოვი. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა ამერიკელი ასტრონავტებისა და საბჭოთა კოსმონავტების ახალი ერთობლივი გასვლა კოსმოსში, სტაფორდმა განაცხადა: „მჯერა, რომ მომავალში ეს მოხდება, მაგრამ როდის, ვერ გეტყვით. მოგეხსენებათ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს მაინც უნდა მოხდეს თუ ამისი კეთილი ნება იქნება“.

საკონფერენციო დარბაზიდან მოსკოვის სპორტულ სარბიელებს მივაკითხეთ, სადაც კეთილი ნების ასპარეზობათა მონაწილეებმა გამარჯვებისთვის შეუპოვარი ბრძოლისა და დახვეწილი ოსტატობის კიდევ ახალი მაგალითების მოწმენი გაგვიხდეს.

თანამედროვე ხუთჰიდში

მოასპარეზეებმა მეოთხე დღეს სროლაში სცადეს ძალები. ამ სახეობაში ყველაზე უკეთ იასპარეზა სერგი გოსუდარე